სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 316

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „29“ იანვარი“ 2014 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ ჯაფარიძის სახით და მეორე მხრივ, შპს „სი-ტი პარკ“-ი (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბინიამინ ლაჰავის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საკუთარი სახსრებით სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ბალანსზე არსებული 2 (ორი) ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის („HYUNDAI ACCENT 1.6 A.T.“ სახელმწიფო ნომრით FCF 347, „HYUNDAI ACCENT 1.6 A.T.“ სახელმწიფო ნომრით FCF 348) პარკირების სისტემაში გააქტიურების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა (კლასიფიკატორის CPV-98351100 კოდი).

3. ხელშეკრულების მოქმედების, მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 აპრილამდე;

3.2. მომსახურების გაწევის ვადა: შემსყიდველის ბალანსზე არსებული 2 (ორი) ავტოსატრანსპორტო საშუალების „HYUNDAI ACCENT 1.6 A.T.“ სახელმწიფო ნომრით FCF 347, „HYUNDAI ACCENT 1.6 A.T.“ სახელმწიფო ნომრით FCF 348-ის პარკირების სისტემაში გააქტიურება წინამდებარე ხელშეკრულების გაფომებიდან 2 დღის ვადაში;

3.3. მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისის ტერიტორიაზე;

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **100** (ასი ლარი) ლარს.

4.2. ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური ქალაქ თბილისის მთავრობის 2010 წლის 28 სექტემბრის №26.01.1232 დადგენილების შესაბამისად შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.

4.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4.4. ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვილებაზე.

4.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

4.6. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

5.1.1. მომსახურების გაწევა ქ. თბილისის მასშტაბით ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში;

5.1.2. გაწეული მომსახურების ხარისხი შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

5.1.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

5.1.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1. უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად, მომსახურების გაწევის დროს;

6.2. კონტროლს განახორციელებს: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით;

7.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

8.1.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ინვოისის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხროციელდება მომდევნო სამუშაო დღე.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ

უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულების 5.1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით;

10.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით დაკისრებული თანხის ანაზღაურება.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. მხარეთა შორის შეთანხმების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით

და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია წარმოდგენილი დირექტორის თამარ ჯაფარიძის სახით,

მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №10

საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი", ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარ. №GE57LB0121155378019000, ს/კ 206348987

მიმწოდებელი

შპს „სი-ტი პარკ"-ი წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის **ბინიამინ ლაჰავის** სახით,

მისამართი: ქ. თბილისი, კანდელაკის ქ. #47

ტელ: 2 24 44 41

საბანკო რეკვიზიტები: სს „ბანკი რესპუბლიკა" ბანკის კოდი REPLGE22, ანგარიშის #GE 90 BR 00 00 01 06 08 61 89 45, ს/კ 204543770

თამარ ჯაფარიძე

ბინიამინ ლაჰავი